


18 მაისს ქუთაისში რიგით მერვე ყველის ფესტივალი, ქართული ყველის გამოფენა-გაყიდვა გაიმართება!
 იხილეთ მე-2 გვ.



მოითხოვე „ლუტრაი“-ს საუკეთესო ღვინოები ქუთაისის რესტორნებსა და კაფეებს!

რა შეითხვევაში შექლავთ სასკოლო ექსპურსიების ორგანიზებას - სამინისტროს რეკომენდაციები სკოლებს

გასული წლიდან ბავშვების ჯგუფური ტრანსპორტირება გარკვეულ რეგულაციებშია მოქცეული, რომლის შესრულებაც ყველა სასწავლო დაწესებულებისთვის სავალდებულოა. ბავშვების უსაფრთხო გადაადგილებას არეგულირებს „ბავშვთა უფლებების კოდექსიც“, თუმცა, კანონპროექტი პარლამენტში ჯერ განხილვის სტადიაშია და ძალაში შესული არ არის.

ელდეს იმ ოფიციალური გადაამზიდავების (მეწარმე ფიზიკური ან იურიდიული პირის) მიერ, რომლებსაც გავლილი აქვთ ტექნიკური კურსები; 2. სატრანსპორტო საშუალება დაზღვეული უნდა იყოს (პროდეს მგზავრების დაზღვევა); 3. სატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს კვალიფიციური (შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე) მძღოლი;

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის უზრუნველყოფილ იქნეს ტრანსპორტირება მათი საჭიროების გათვალისწინებით; 6. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად გადაადგილდება რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება, სადაც განთავსებული არიან არასრულწლოვანები, კოლონას წინ უნდა უძღოდეს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, ხოლო კოლონაში არსებულ ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე მითითებული იყოს ნიშანი „ბავშვები“;

ვის, პოლიციისათვის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და სასწრაფო დახმარების სამსახურისათვის; 8. იმ პირთა შორის, რომლებიც იღებენ არასრულწლოვანებზე მზრუნველობის პასუხისმგებლობას უნდა იყოს სულ მცირე ერთი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გავლილი აქვს „პარველადი (ექიმამდელი)“ სამედიცინო დახმარების კურსი“;

(სასურველია ნოტარიულად დამოწმებული ფორმით), სადაც განისაზღვრება მხარეთა უფლებამოსილება; 10. ღონისძიების ხელმძღვანელის/ორგანიზატორის მიერ დაქირავებულ პერსონალთან (ლიდერ/ინსტრუქტორებთან), გადაამზიდავთან, არასრულწლოვანთა განთავსებისა და კვების ობიექტთან ურთიერთობები და მხარეთა პასუხისმგებლობა დარეგულირებული უნდა იყოს ხელშეკრულებით.

რაც შეეხება კონკრეტულად სამინისტროს რეკომენდაციებს, გთავაზობთ 11-ვე პუნქტს, რომელიც მშობლებსაც და სასწავლო დაწესებულებებსაც უნდა გაითვალისწინონ:

4. გადაამზიდავი კომპანია იღებს პასუხისმგებლობას მგზავრობის უსაფრთხოებაზე და ტრანსპორტის გამართულობაზე და ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას;

7. მიზანშეწონილია ღონისძიების პერიოდის და ადგილმდებარეობის შეტყობინება მუნიციპალიტეტისათვის, პოლიციისათვის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და სასწრაფო დახმარების სამსახურისათვის;

9. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა - ღონისძიების ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მშობლის/მშობლების (მეურვეების, არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების) თანხმობა ან/და ხელშეკრულება

11. აღნიშნულ რეკომენდაციებს ექვემდებარება არა მხოლოდ სკოლის მიერ ორგანიზებული სასწავლო ექსპურსიები, არამედ მშობელთა მიერ ორგანიზებული მოსწავლეთა ნებისმიერი ჯგუფური ტრანსპორტირება.

მრავალშვილიანი მშობლის სტატუსს პირს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მიანიჭებს

საქართველოს მთავრობის N212 დადგენილებით განისაზღვრა მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების წესი და პირობები. ამ სერვისის იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო განახორციელებს.

წესი და პასუხისმგებელი უწყება. დადგენილების თანახმად, მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი დაუდგინდება: საქართველოს მოქალაქეს ან სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც ჰყავს 4 ან მეტი შვილი ან ნაშვილები;



მთავრობის დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილების თანახმად, პირმა სტატუსის დადგენაზე განაცხადი უნდა წარადგინოს ნებისმიერ იუსტიციის სახლში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ან საზოგადოებრივ ცენტრში. ყველა მრავალშვილიან პირს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს, შესაძლებლობა ექნება, მოითხოვოს სტატუსის დადგენა. აღსანიშნავია, რომ დღემდე აღნიშნული სტატუსის დადგენისთვის არ იყო განსაზღვრული ერთი საერთო

- სტატუსის დადგენისათვის შვილების ასაკი შეზღუდული არ არის. იგი შეიძლება დაუდგინდეს როგორც არასრულწლოვანი, ასევე სრულწლოვანი შვილების მშობელს;
 - მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირი ერთდროულად შეიძლება იყოს ორივე მშობელი - დედაც და მამაც;
- მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენაზე გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის წარდგენიდან 30-ე კალენდარულ დღეს.

ევროპის დღეები ქუთაისში რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებით აღინიშნა

ევროპის დღეები 2019-ის ფარგლებში ქუთაისში, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საჯარო ლექცია თემაზე - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) გაიმართა.



ლექციის მოწვეული ექსპერტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი მოვლიერგი ჩიტაძე უძღვებოდა. ლექციის პარალელურად, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ იმერეთის ბიუროს ინიციატივით მოეწყო საინფორმაციო კუთხე. სადაც მოწვეულ სტუმრებს შეეძლოთ, თემატურ ლიტერატურას გაეცნობოდნენ. აქვე შედგა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია, რომელიც იმერეთის რეგიონში მომუშავე ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარადგინა. "ვფიქრობთ, რომ ეს აქტივობები

მოსახლეობის ინფორმირებას შეუწყობს ხელს რეგიონულ დონეზე. ევროპის დღეების ფარგლებში იმერეთის მუნიციპალიტეტებში რამდენიმე აქტივობა დაგეგმილი, რაც მის მასშტაბურობას ზრდის. ჩვენ სხვადასხვა ღონისძიებებით შევეცდებით რეგიონის მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას და მათ ინფორმირებულუბას, რაც ხელს შეუწყობს ანტიდასავლური მიტების გაქარწყლებას." - აღნიშნა საინფორმაციო ცენტრის იმერეთის ბიუროს წარმომადგენელმა მარიკა ვაჭარაძემ.

ევროპის დღეები წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის ფარგლებშიც საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხებსა და ევროინტეგრაციის პროცესზე იმართება მრავალი ღონისძიება. მზარდი ანტიდასავლური პრო-

პაგანდის ფონზე, მნიშვნელოვანია, საქართველოს მოქალაქეებს მიეწოდოთ ინფორმაცია ევროპული ინტეგრაციის საკითხზე, ამ მიმართულებით არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე და მოხდეს მოქალაქეების აქტიური ჩართვა ღონისძიებებში. ევროპის დღეები ხორციელდება სსიპ საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით.

PS news.ge
 ISSN 1987-7056
 9 771 987 7050 4

12 მაისი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ გამოცხადდა

12 მაისი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ გამოცხადდა. ამასთან, საქართველოს მთავრობამ ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისთვის სარეზერვო ფონდიდან 694 000 ლარი გამოყო.

აღნიშნული თანხიდან 73 000 ლარი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ღვთისმშობლის წილხვდომილობის თემატიკაზე გამოფენების მოსაწყობად გამოიყო.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს 141 000 ლარი გადაეცა - საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამ თანხით 12-13-14 მაისს საერთაშორისო კონფერენცია უნდა ჩატაროს.

გამყოფილი თანხიდან 480 000 ლარი განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს გადაეცა - უწყება შემდეგ ღონისძიებებს გაატარებს:

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულოებისთვის ღვთისმშობლის წილხვდომილობის თარიღის ამსახველ 50 000 ბროშურას და 50 000 ხატს დაბეჭდავს. საკონსულოები ბროშურებს და ხატებს ემიგრანტებს დაურიგებენ.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს გვერდით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე დარიგდება ღვთისმშობლის წილხვდომილობის თარიღის ამსახველი 150 000 ბროშურა და 150 000 ხატი.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი თბილისში და რეგიონებში მოაწყობს ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციების გამოფენას "საქართველო - ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღისადმი" და ამ თემასთან დაკავშირებით ჩატარებს ლექციებს.
- დაფინანსებს სპექტაკლებს, მხატვრული კითხვის საღამოებს, ფოლკლორული ანსამბლის ტურნეებს, კინოჩვენებებს, საჯარო ლექციებს.
- მახათას მთაზე გაიხსნება საზეიმოდ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი. წირვის შემდგომ ფუნქციონირებულ გაიმართება საზეიმო მიღება. ამ ღონისძიებისთვის მთავრობას 304 852 ლარი აქვს გამოყოფილი.

შეგახსენებთ, პარლამენტმა წილხვდომილობის დღესასწაული 8 მაისს დაადგინა. შრომის კოდექსში ცვლილებების დაქარაუხვებული წესით შეტანის შესახებ პარლამენტს პრემიერმა მიმართა. როგორც მამუკა ბახტაძემ განაცხადა, 12 მაისი გახდება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ეროვნული დღესასწაული.

თავის მხრივ, ამ მოთხოვნით მთავრობას წმინდა სინოდმა მიმართა, რომელმაც შესაბამისი გადაწყვეტილება 2018 წლის დეკემბერში მიიღო.

ქუთაისის მერია საქართველოში გაეროს საგზაო უსაფრთხოების მეხუთე კვირეულს შეუერთდა

კვირეულს განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი, ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად აღნიშნავს.

ინიციატივას კამპანია "მეტი სიცოცხლისთვის" ფარგლებში მხარს უჭერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. კვირის განმავლობაში ახალგაზრდა ლიდერები, რომლებსაც საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თავად აქვე გაველილი ტრენინგები, ქუთაისის საბავშვო ბაღებში საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ. ახალგაზრდა ლიდერებს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების დროს საპატრიულ პოლიციის თანამშრომლებიც შეუერთდებიან.

პირველი საინფორმაციო შეხვედრა ქუთაისის მე-13 საბავშვო ბაღში უკვე ჩატარდა. ქუთაისის მერიაში გამართულ შეხვედრას, ქალაქის მერი გიორგი ჭილაძე, ვიცე-მერი დავით ერემეიშვილი, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გამგებობის თავმჯდომარე ლიკა კილაძე, „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგებობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების სამსახურის უფროსი ბაქარ აქუბარდია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და რეფორმების სამმართველოს უფროსი ბექა ლილუაშვილი ესწრებოდნენ.

117 სახეობის მცენარეული ნიმუშიდან გენმოდულიციური არც ერთი აღმოჩნდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მცენარეების სხვადასხვა სახეობის ცოცხალი გენმოდულიციური ორგანიზმების შემცველობაზე სისტემატურად ამოწმებს.

2015 წლიდან დღემდე, საქართველოს ყველა რეგიონში, დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის ცოცხალი გენმოდულიციური ორგანიზმების სპეციალისტებმა, დაახლოებით 561.205 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მაღალი რისკის შემცველობის მქონე მცენარეული სახეობის 177 ერთეული ნიმუში შერჩევითი წესით შეამოწმეს.


ლაბორატორიული კვლევისთვის სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის, ნესვის, საზამთროს, იონჯას, სოიოსა და ლობიოს ნიმუშები აიღეს. კვლევამ აჩვენა, რომ ეს მცენარეული



სახეობის საავტომობილო გზების სამსახურის უფროსი ბაქარ აქუბარდია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და რეფორმების სამმართველოს უფროსი ბექა ლილუაშვილი ესწრებოდნენ.

გაეროს საგზაო უსაფრთხოების მეხუთე კვირეული, კონფერენციით „საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დასრულდება. "ჩვენ შევუერთდით გაეროს საგზაო უსაფრთხოების კვირეულს. კამპანია "მეტი სიცოცხლისთვის" ფარგლებში, არასამთავრობო

სექტორთან ერთად ჩართული ვართ ყველა აქტივობაში. საინფორმაციო შეხვედრებს ვმართავთ საბავშვო ბაღებშიც, სადაც ადრეული ასაკიდან ბავშვებს ვაძლევთ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას. დღევანდელ კონფერენციაზე კი დავსახავთ შემდგომ სტრატეგიას და ამ კუთხით თვითმმართველობის ჩართულობის საკითხებს"- განაცხადა ქუთაისის მერმა გიორგი ჭილაძემ.



სახეობები არ შეიცავს გმო მარკერებს, რაც ადასტურებს, რომ ისინი ცოცხალ გენმოდულიციურად არ არის შექმნილი.

კანონმდებლობით, ცოცხალი გენმოდულიციური ორგანიზმების

გარემოში კულტივირება აკრძალულია. კანონდარდების გამოვლენის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდება.

18 მაისს ქუთაისში რიგით მეორე ყველის ფესტივალი, ქართული ყველის გამოფენა-გაყიდვა გაიმართება!

ფესტივალის მონაწილეები და სტუმრები იქნებიან: ქართული ყველის ისტორიის მკვლევარი ანა მიქაძე, გასტრონომიული კულტურის მკვლევარი, საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტი დალი ცაბაგა, გასტრონომიული კულტურის მუზეუმის დამფუძნებელი ესმა კუნჭულია.

გამოფენა - გაყიდვა გაიმართება 12:00-დან 19:00-მდე.

როგორც ქუთაისის ტურიზმის ცენტრში გვითხრეს, პროგრამაშია - ქართული ტრადიციული და უძველესი რეცეპტებით ყველის ამოყვანის მასტერკლასი: ყველი ტენილი-დამალხაჭო, ქართული ტრადიციული ყველი ("იმერული სულგუნი") და ძველი იმერული კერძების მასტერკლასი. ფესტივალს შემოურთდებიან სხვადასხვა პროდუქტების მწარმოებლები



იმერეთიდან - ჩირი, ჩაი, თაფლი, აჯიკა, სუნელები...

ფესტივალს მუსიკალურად გააფორმებს "ჩვენი კვარტეტი".

ქართული ყველის გამოფენა-გაყიდვა ღია ღონისძიება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

პროფკავშირი ტყიბულის შახტში დაგეგმილ შემცირებებს აპროტესტებს

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2018 წლის 15 ივნისს, მას შემდეგ, რაც შახტებზე მომხდარ უბედურ შემთხვევას 4 მემსახვე დაზარადა, ხოლო 6-მა სხეულის პრემიერ-მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც საქართველოს პროფკავშირები დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა - კერძოდ: ტყიბულში შეწყდა ნახშირმოპოვება და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შეირჩა საერთაშორისო გამოცდილების მქონე საექსპერტო კომპანია, რომელიც შახტებზე შრომითი რისკების შეფასებას რამდენიმე თვის განმავლობაში ახორციელებდა და 2018 წლის ბოლოს შესაბამისი დასკვნაც დადო. შემახტებებს იძულებითი მოცდენის მთელ პერიოდზე შრომის ანაზღაურება ეძლეოდათ.

სამწუხაროდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, გერმანული საექსპერტო კომპანიის მიერ მოზადებული დასკვნა დღემდე არ გაუსაჯაროვებია. არც ის არის ცნობილი, რა წერია დასკვნაში და არც ის არის ცნობილი, როგორი საინჟინერო გადაწყვეტა იქნა ნაპოვნი ნახშირმოპოვების გასაგრძელებლად ისე, რომ მინიმალური რისკის შრომითი რისკები და საფრთხეები.

მიუხედავად, ყოველივე ზემოთქმულისა, 2019 წლის აპრილის ბოლოდან, მემსახვეებს შეუზღუდეს კუთვნილი ანაზღაურებადი შევსებებით სარგებლობის უფლება, ხოლო GIG ჯგუფის წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ მათთვის იმის ნახშირმოპოვების დაწყება იგეგმება უკრაინული ჯგუფის ოპერირების ქვეშ. მათივე განცხადებით გაუქმდება ძიძიგურის შახტის ადმინისტრაციული კორპუსი და ინფრასტრუქტურა, მემსახვეები ძიძიგურის შახტზე იმორავებენ მინდელის შახტიდან სავენტილაციო გვირაბის გავლით და რომ საბოლოო ჯამში 250-მდე ადამიანი შემცირდება იგეგმება.

ეს ყველაფერი კი ხდება იმ დროზე, რომ ცნობილი არ არის რა წერია გერმანული ექსპერტების მიერ მოზადებულ დასკვნაში, რა რეკომენდაციები იქნა გაცემული რისკებისა და საფრთხეების შესამცირებლად და რა სამუშაოები განახორციელო ოპერატორმა კომპანიამ რეკომენდაციების შესასრულებლად.

ასევე, უცნობია კომპანიის მიერ დაანონსებული რეორგანიზაციის გეგმა, დაუსაბუთებელია მისი მიზანშეწონილობა და უცნობია რეორგანიზაციის სამართლებრივი ასპექტებიც.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება ტყიბულში მიმდინარე პროცესების გამო შემოთავაზებდა გამოთქვას და მოითხოვდა: დაუყოვნებლად გასაჯაროვდეს საექსპერტო კომპანიის მიერ მოზადებული დასკვნა, გასაჯაროვდეს ტყიბულის ნახშირმოპოვებულ საწარმოსთან დაკავშირებული ყველა პროცესი და უზრუნველყოფილი იქნას ამ პროცესებში საქართველოს პროფკავშირების ჩართულობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენების ნეგატიური განვითარების ყველა შესაძლო პროცესთან დაკავშირებით, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს მთავრობას და ოპერატორ კომპანიას, - ნათქვამია პროფკავშირების განცხადებაში.

2019 წლის 19 მაისს რიგგარეშე/შუალედური არჩევნები გაიმართება

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე



კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიარეთ მარკირების პროცედურა

მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები



კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

ხმის მიცემა ფარულია!

კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია!



თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები მოათავსეთ მასში, სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილია:

- ✓ უსინათლო ამომრჩევლისთვის – ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა
- ✓ მცირემხედველი ამომრჩევლისთვის – გამადიდებელი ლინზა
- ✓ ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლისთვის – ადაპტირებულ უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა
- ✓ ყრუ და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის – ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი სხვა ამომრჩეველი.

ცესკოს ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის
ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს საშუალება აქვს ვებგვერდზე www.cesko.ge რეგისტრაციის შემდეგ ვიდეო ზარის სერვისით ისარგებლოს

ვესაუბრებით
ამომრჩეველებს!



საარჩევნო სისტემების
მანვითარების, რეგისტრაციისა და
სწავლების ცენტრი



თბილისში ახალი ღვინის ფესტივალი გაიმართა

ათასობით ადამიანი დაესწრო ღვინის ფესტივალს, მთაწმინდის პარკში გაიმართულ ახალი ღვინის ფესტივალს, რომელიც წელს მეათედ აღინიშნა. ახალი ღვინის ფესტივალში სულ 250 ღვინის მწარმოებელი, როგორც დიდი კომპანია, ისე მცირე და საშუალო საოჯახო მარანი მონაწილეობდა.

ფესტივალზე დასასწრებად საქართველოს მსოფლიოს 13 ქვეყნიდან ღვინის ექსპერტები, მაგისტრები, იმპორტიორები, ბლოგერები და მედიის წარმომადგენლები ეწვივნენ. ფესტივალი საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან მეტეხელას განცხადებით, ფესტივალის ჩატარების მთავარი მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია, საქართველოში ღვინის განათლების დონის ამაღლება და სამომხმარებლო კულტურის გაზრდაა.

„წლებადღეული ფესტივალი გამოირჩევა ხალხმრავლობით. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ბევრი უცხოელი ღვინის პროფესიონალი ეწვია საქართველოს საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი ღვინის ეცნობიან ქართულ ღვინოს და ღვინის კულტურას. ეს ფესტივალი სწორედ ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და მისი ცნობადობის ზრდას ემსახურება“ - აღნიშნა ლევან მეტეხელამ.

ფესტივალი ტრადიციულად ქვეყნის გახსნის ცერემონიით დაიწყო. ქვეყნში წელს ღვინის კლუბის მიერ შეარჩეული, თერაპიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტელეფაში დაყენებული ოცხანური საფერე იყო, რომლის დაგეგმვების შესაძლებლობაც ფესტივალის სტურებს მიეცათ.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის საუკეთესო ღვინოები: რქაწითელი, საფერავი, ოცხანური საფერე, ქისი, ხიხვი, ჩინური, მწვანე კახური, თავკვერი, შავ-კაპიტო, ოჯალეში, ორბელური ოჯალეში, ალექსანდროლი, მუჭურეთული, ციქა, ცოლიკორი, კრაუნა, წულუკიძის თეთრა, ჩხავერი, ძელშავი, სხილათუბანი, კუნძა, ხილისთაური, კახური მცვივანი, საფერავი ბუღმუხრისებრი და სხვა.

სამსონ სულხია: „კვლ გამოსდილავაზე საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ფსიქიატრიის მიღწევებს არ ვიზიარებ“

„საზოგადოებრივი ფონდოსკოპის“ კვირის სტუმარია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამსონ (სოსო) სულხია. 72 წლის ფსიქიატრი, რომელსაც ამ დარგში პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლიანი უწყვეტი გამოცდილება აქვს, ინტერვიუზე რამდენიმე მკვლელობის შემდეგ დაგვთანხმდა. როგორც დიდ ადამიანებს სჩვევიათ, არც მას უყვარს საკუთარ თავზე საუბარი.



პროფესორი სამსონ

სამსონ (სოსო) სულხია 1947 წლის 3 იანვარს ქალაქ მარტვილში დაიბადა. 1965 წელს რიგის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა; 1972 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა; 1973-1976 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განყოფილების გამგელ მუშაობდა;

1976-1978 წლებში მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიარა მიზნობრივი ორდინატურა ფსიქიატრიაში.

1978 -1882 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს განყოფილებაში გამგელ;

1982-1988 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს - მთ. ექიმის მოადგილე სამედიცინო ნაწილში; 1988-2000 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ ფსიქიატრად;

2000-2007 წლებში იყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ ხელმძღვანელი.

2007წლიდან - დღემდე არის შპს „აკად. ბ. ნანიშვილის სახ. ფსიქიატრიის ჯანმრთელობის ცენტრის“- ნებაყოფლობითი მკურნალობის განყოფილების ხელმძღვანელი და ექიმ ფსიქიატრი. 1994 წლიდან არის ა. ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრთა საზოგადოების პრეზიდენტი, და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

გამოქვეყნებული აქვს 38 სამეცნიერო ნაშრომი.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

- ბატონო სამსონ, რატომ დაუყოფნით თვენი ცხოვრება მედიცინის ამ დარგს?

- განსაკუთრებით მაინტერესებდა ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, ამიტომ ვავხდი ფსიქიატრი. იყო კიდევ ერთი ფაქტორი, სოხუმში ჩემს საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარეობდა ფსიქიატრიული კლინიკა, ამ გარემოებასაც ვარკვევს გავლენა იქონია.

- რას ნიშნავს თქვენთვის „პროფესია ექიმი“?

- ექიმი არის ადამიანის რეალური მშველელი, დამხმარე.

- ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელობით, როგორ შეაფასებთ ახალ თაობას?

- პრაქტიკული საქმიანობის პა-

სამსონ სულხია

რალეულად, პედაგოგიურ მოღვაწეობას აღრეული წლებიდან ვეწევი. სოხუმის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სასამართლო ფსიქიატრიის კურსს ვეხელმძღვანელებდი. ახლა რეზიდენტები მყავს. მათთან ურთერთობა მსიამოვნებს. რაც შეეხება ჩვენი ცენტრის რეზიდენტებს, ყოველთვის სახალისო ძიებაში არიან, რაც მისასალმებელია. ახალგაზრდებს ზოგადად პროგრესი მოაქვთ და მჯერა, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება.

- თქვენ საბჭოური განათლება გაქვთ მიღებული, მას შემდეგ ეს დარგი ძირულად — შეიცვალა. როგორ შეაფასებთ თანამედროვე ფსიქიატრიაში?

- ძველ გამოცდილებაზე საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ფსიქიატრიის მიღწევებს არ ვიზიარებ. ჩემი აზრით, დარგის სრულყოფილი განვითარებისათვის უმჯობესია კლინიკური ფსიქიატრია შევკრებული იყოს რეფორმებთან.

- ბატონო სოსო, როგორც ვიცით, თქვენი ერთ-ერთი მასწავლებელი ცნობილი ქართველი ფსიქიატრი, ავლიბ ზურაბაშვილი იყო. მის შესახებ მოგვიყვიეთ. რა გასწავლავთ მან?

- აკადემიკოს ავლიბთან ინტერნატურა გავიარე. მოგვიანებით გავარკვიე, რაც ინტერნატურაში ვისწავლე, ის პროგრამა იმდროინდელ მსოფლიო ფსიქიატრიის უტოლდებოდა. ის უდაოდ დიდი პროფესიონალი იყო, მას უსმენდნენ და სწავლობდნენ ფსიქიატრიაში. მახსოვს, ფსიქიატრიის საკავშირო ყრილობა, სადაც აკადემიკოსი ავლიბ ზურაბაშვილი გამოდიოდა თავისი ცნობილი მოხსენებით „ჰომო-მორალის“, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია, დარბაზში ბუზის გაფრენის ხმაც კი ისმოდა.

რაც შეეხება მის პიროვნულ მხარეს, ძალიან პატრიოტი იყო, გამუდმებით ილია ჭავჭავაძის კითხულობდა და საოცარი ქარიზმის მატარებელი გახლდათ. მასთან ყველა პაციენტი შედიოდა კონტაქტში, მათი ემოციების, განცდებისა და ავადმყოფობის შესახებ მეგობრულად ესაუბრებოდნენ. აკადემი-

კოსმა ავლიბმა, პაციენტებთან მიდგომა მასწავლა.

მე იმ პერიოდში მომიწია მოღვაწეობა, როცა ქართული ფსიქიატრია საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. ერთ მაგალითს მოგიყვებით და თვითონ მიხვდებით, რას ვგულისხმობ.

ჩემი მოსკოვში მუშაობის პერიოდში პროფესორმა ავრუციმ გამოუმწვრა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, რომლის გამოცემაც ასათიანებმა მიულოცეს. საქართველოდან 3 დეპუტატი გამოაგზავნეს: ავლიბ ზურაბაშვილის, ბიძინა ნანიშვილის და შოთა გამყრელიძის. ამ დროს მე პროფესორის კაბინეტში ვიმყოფებოდი, მან სამივე დეპუტატი მომწვარა და დასძინა — ჩვენებმა მოსალოცი ბარათები გამოიმწვანეს.

ეს ადამიანები, ვისზეც მე ასე მოკრძალებითა და მოწიწებით ვსაუბრობ ქმნიდნენ არა მარტო ფსიქიატრიის, არამედ - ქართულ მედიცინას.

- რამდენად რთულია პროფესიული ეთიკის და სტანდარტების დაცვა ფსიქიატრიაში?

- რთულია, იმიტომ რომ ფსიქიატრიის დარგი ჯერ ბოლომდე შესწავლილი და ყველა შეკითხვაზე პასუხაცემული არ არის.

- თქვენ პრაქტიკაში, ალბათ, ბევრ საინტერესო პაციენტთან გქონიათ შეხება, შეგიძლიათ რომელიმე მათგანის ისტორია მოგვითხროთ?

- 45 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი ცნობილი ხელოვანი და მოაზროვნე პაციენტი მყოლია, ვის შესახებაც პროფესიული ეთიკის გამო საჯაროდ ვერ ვისაუბრებ, თუმცა ერთ ისტორიას კონკრეტულად გარეშე მოგიყვებ.

მოსკოვში მუშაობის დროს ერთი მხატვარი მომიყვანა დედამ სამკურნალოდ. მას ჰქონია ავანგარდული გამოხედვა ქალაქგარეთ, რომელიც კომუნისტებმა ტანკებით დაარბიეს. წაშლის მიღების შემდეგ შესაძლოა მას ხატვის ნიჭი დაეკარგა, ამიტომ გოგონას მკურნალობაზე უარი ვთქვი და დედამის ვთხოვე შვილის ისტორია

სხვა ექიმისთვის მიეტანა.

- მინდა, საბჭოთა ფსიქიატრიაზე გკითხოთ, ამ რეჟიმში ბევრი პროგრესული ადამიანი გაანადგურა, მათ შორის ფსიქიატრიული დაწესებულებების დახმარებით. რა ხდებოდა ამ დროს ქართულ ფსიქიატრიაში?

- ქართულ მედიცინაში ვგრძობ წოდებულ ფსიქიატრიული ტერორის“ პრეტენდენტი არ არის. ამაზე მიუთითებს პროფესორი შოთა გამყრელიძე თავის მონოგრაფიაში „შიზოფრენია გუშინ, დღეს, ხვალ“. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფსიქიატრია კომპრომატების გარეშე დარჩა. იმ ფაქტს თუ არ ჩავთვლით, რომ ჩვენც საბჭოთა კავშირის ნაწილი ვიყავით.

- ყველაზე ხშირად, რა იწვევს ფსიქიკურ პრობლემებს და თქვენი სამეცნიერო ნაშრომები რომელ ფსიქიკურ დაავადებაზეა?

- ათასი სტრესული და ფსიქოლოგიური ფაქტორი აძლევს ბიძეს ფსიქიკურ აშლილობებს. მე ყველაზე მეტად შიზოფრენია მაინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური თვალსაზრისით ვუდგებით ამ დაავადებას, როგორც საჭიროა, მისი გამოუმწვარი ზუსტი მიზეზი დღემდე დაუდგენელია. ამიტომ იყო და რჩება ეს დაავადება ჩემი კვლევის საგანად.

- დავისახელებთ, თქვენი საყვარელი წიგნი, პოეტი და მუსიკა?

- ფრანც კაფკას „პროცესი“; ტერენტი გრანელი; ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „ ბითლზები...“

- თქვენი ჰობი?

- თავისუფალ დროს ვკითხულობ და ლექსებს ვწერ, თუმცა ჩემს თავს პოეტს არ ვეწოდებ, უბრალოდ, ლექსებს ვწერ...

„მე მოგვდები, როგორც პოეტს შემგვინს, მე კი - როგორც ქართველ ფსიქიატრს.“

ლიკა დავდარიანი

